ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №392825

ნომერი: AR185894

თარიღი : 11.10.2012

გაცემის თარიღი : 16.10.2012

გაცნობის თარიღი : 10.11.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR185894 11.10.12 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ და მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს ტერიტორიის სამშენებლო განვითარება, იმ შემთხვევაში თუ გნებავთ შეთანხმებულ გრგ–ში ცვლილების განხორციელება სამსახურს განაცხადით უნდა მომართოს ორივე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან ორივე მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე უნდა მოხდეს აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გაუქმება.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2012 წლის 11 ოქტომბერს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა შესაბამისი მოთხოვნის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 11 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაყენებული ახალი მოთხოვნა საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.